ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2416175

ნომერი: AR1373003

თარიღი : 25.01.2016

გაცემის თარიღი : 03.02.2016

გაცნობის თარიღი : 04.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , -ში 22 - ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია კ.ძნელაძის ქ. N 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/08/2015 წლის №2062993 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 25/01/2016წ.

NAR1373003 განაცხადით მომართა შოთა ქუთათელაძემ და ამავე სამსახურის 13/08/2015 წლის N2062993 გადაწყვეტილების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 13/08/2015 წლის №2062993 გადაწვეტილებით ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III მიკრო/რაიონი, 22-ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის, შ.პ.ს. „ლუმაქ ჯგუფის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: N01.10.08.006.034) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 13 აგვისტოდან 2016 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 13/08/2015 წლის №2062993 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომებია, კერძოდ -3,00 ნიშნულის გეგმის ექსპლიკაციაზე გამორჩენილია კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი, ასევე 26,7 ნიშნულის გეგმის ექსპლიკაციაზე კიბის უჯრედის ფართობი ნაცვლად მითითებული 61,10 კვ.მ.–ისა შეადგენს 64,8 კვ.მ–ს. შესაბამისად, საბოლოოდ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი ნაცვლად 827,4 კვ.მ.–ისა შეადგენს 831,1 კვ.მ–ს. აგრეთვე, არასწორადაა მითითებული კომერციული ფართობი. შესაბამისად, არასწორია საერთო ფართობიც.
წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 13/08/2015 წლის №2062993 გადაწვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომები და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 8741.5; კომერციული ფართობი (კვ.მ).: 717,5; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 831,1; ასევე, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული –3.00 ნიშნულისა და 26.7 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 25/01/2016 წლის NAR1373003 განაცხადზე 01/02/2016 წლის შეტყობინებით წარმოდგენილი –3.00 ნიშნულისა და 26.7 ნიშნულის გეგმებით, ხოლო 13.5 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს 03/02/2016 წლის შეტყობინებით წარმოდგენილი 13.5 ნიშნულის გეგმით.
სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, გაასწოროს ტექნიკური შეცდომები მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ასევე, 13/08/2015 წლის №2062993 გადაწვეტილებით შეთანხმებული –3.00 და 26.7 ნიშნულების გეგმები ჩაანაცვლოს 25/01/2016 წლის NAR1373003 განაცხადზე 01/02/2016 წლის შეტყობინებით წარმოდგენილი გეგმებით, ხოლო 13.5 ნიშნულის გეგმა, 03/02/2016 წლის შეტყობინებით წარმოდგენილი 13.5 ნიშნულის გეგმით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/08/2015 წლის №2062993 გადაწვეტილებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 8741.5; კომერციული ფართობი (კვ.მ): 717,5; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 831,1; ასევე, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული –3.00 და 26.7 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს 25/01/2016 წლის NAR1373003 განაცხადზე 01/02/2016 წლის შეტყობინებით წარმოდგენილი –3.00 და 26.7 ნიშნულების გეგმებით, ხოლო 13.5 ნიშნულის გეგმა, 03/02/2016 წლის შეტყობინებით წარმოდგენილი 13.5 ნიშნულის გეგმით. სამსახურის 13/08/2015 წლის №2062993 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/08/2015 წლის №2062993 გადაწყვეტილებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.